



თებერვალი



მარტი



აპრილი

მაისი



ივნისი



ივლისი



ადამიანის უფლებების სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი (EMC)
საქმიანობის მიმოხილვა
2016

რედაქტორის სვეტი

პოლიტიკური ბრძოლა სასამართლოსთვის

სოციალური უფლებების პროგრამა 1

ტყილის მემახტეების გაფიცვა.....	1
შრომის უსაფრთხოება: სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და დაღუპულთა მაღალი მაჩვენებელი.....	2
საცხოვრისის უფლების არალიარება და უსახლკაროთა მძიმე უფლებბრივი მდგომარეობა.....	3
ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმა და მისი იმპლემენტაციის ხარვეზები.....	4
სტრატეგიული საქმეები სასამართლოში.....	4

ინსტიტუციური რეფორმების
მხარდაჭერის პროგრამა 5

პირადი ცხოვრებით მანტაუი.....	5
საკონსტიტუციო სასამართლოს ნაჩქარევი და ხარვეზიანი რეფორმა.....	6
კრიზისული ვითარება საერთო სასამართლოების სისტემაში: გაჭიანურებული რეფორმა და მოსამართლეთა დაჩქარებული დანიშვნები.....	6
აუდიტორია 115: “ოდეერების” საკითხი საუნივერსიტეტო სივრცეში.....	7
პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი: საკადრო პოლიტიკის გავლენა საპოლიციო სისტემის დამოუკიდებლობაზე.....	8
სტრატეგიული საქმედები სასამართლოში.....	8
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა	9

მუსლიმი თემის წინაშე მდგარი გამოწვევები.....	9
რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა.....	10
დისკრიმინირებული რელიგიური ჯგუფების სამართლებრივი დაცვარება და გაძლიერება.....	11
ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის ესკალაცია.....	13

კრიტიკული კოლიტიკის და
სოლიდარობის კლანფორმა 15

კრიტიკული პოლიტიკის და სოლიდარობის პლატფორმა.....	15
ფორუმი “ ჩაგვრის სოციალური და პოლიტიკური ასპექტები: თეორია და პრაქტიკა”.....	16
პუბლიკაციები.....	16
კვლევითი და სახელოვნებო სტიპენდიები.....	17
საჯარო დისკუსიები.....	17
ბლოგები.....	17

დონორები და კარდენიორი
ორგანიზაციები 18

კოალიცია.....	18
დონორები, პარტნიორი ორგანიზაციები და მიმდინარე პროექტები.....	18



პოლიტიკური ბრძოლა სასამართლოსთვის



სასამართლო სისტემას, მათ შორის, საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას მძიმე პერიოდი უდგას. პოლიტიკური პროცესები და სასამართლოზე გავლენების მოხდენის მცდელობა ამ ინსტიტუტების დისკრედიტაციას და სრულ პოლიტიზირებას იწვევს. სასამართლოების ლეგიტიმაცია კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რაც სისტემას სამართლებრივი და პოლიტიკური კრიზისების დაძლევის მცირე რესურსსაც აღარ უტოვებს. ამ პროცესებმა, შესაძლოა ხელი შეუწეოს პოლიტიკური ხელისუფლების უკონტროლო ქმედებებისთვის და ადამიანის უფლებების მდგომარეობის დამძიმებისთვის ნოყიერი ნიადაგის შექმნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ პოლიტიკური ანტაგონიზმი ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაძლიერდა, რაც გახმაურებული და სენსიტიური საქმედების განხილვას დაემთხვა (საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, გიგი უგულავას პატიმრობა, ფარული მოსმენები, რუსთავი 2-ის საქმე). რამდენიმე თვის წინ პროცესი სიტყვიერი თავდასხმებით დაიწყო და თავმჯდომარისა და ცალკეული მოსამართლეების მიმართ საჯარო კრიტიკით გაგრძელდა. შემდეგ იუსტიციის მინისტრის მხრიდან გაუძღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების ინიციატივა, რაც სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ხელისუფლების “საპასუხო” ნაბიჯს უფრო გავდა. საბოლოო ჯამში მინისტრის ეს “დაპირება” პარლამენტის მხრიდან ძალიან ხარვეზიანი კანონის მიღებით დასრულდა.

სამწუხაროდ გასული თვეების განმავლობაში პოლიტიკურმა სისტემამ და სახელმწიფო აპარატმა ვერ აჩვენა ნება და რესურსი გამოეცნოდა ვიწრო პარტიულ პროცესებს. სასამართლოს თავმჯდომარის რამდენიმე თვის წინანდელი განცხადება მის მიმართ ფარული კადრებით შანტაჟთან დაკავშირებით პროკურატურის მხრიდან ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა. ასევე, არანაირი რეაგირება არ მოყოლია მოსამართლეების სახლებთან კანონდარღვევით ჩატარებულ აქციებს.

სასამართლოს თავმჯდომარე კვლავ საჯაროდ ალაპარაკდა ცალკეული მოსამართლეების მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე, რაც კიდევ ერთ ღრმა და გარდამტეხ კრიზისზე მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი კი დიდწილად ამ კრიზისის დაძლევაზე დამოკიდებული. მთელი ტვირთი და პასუხისმგებლობა პროკურატურის მხრებზეა, მან უნდა მოახერხოს გასულ თვეებში თავისივე უმოქმედობით შექმნილი უნდობლობის გამოსწორება და მიმდინარე გამოძიების მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვება. სხვა შემთხვევაში, გამოძიების შედეგების აღიარება ვერ მოხდება.

თუმცა, სასამართლომაც არ უნდა დაივიწყოს თავისი როლი და უნდა აიღოს პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე, იმოქმედოს მართლმსაჯულების ინტერესების სასარგებლოდ, რაც გულისხმობს მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებას, არაგონივრული ვაჭიანურების გარეშე საქმედების განხილვას და გადაწყვეტას და მთელი ინსტიტუტის დისკრედიტაციის ნაცვლად, სასამართლოს კედლებში სამუშაო პროცესის აღდგენას.

ტყიბულის მეშახტეების გაფიცვა

ტყიბულის გაფიცვამ ნათელი გახადა დასაქმების ადგილებზე ადამიანის უფლებათა შელახვის სისტემური, მძიმე გამოცდილება და დასაქმებულთა ექსპლუატაციის უხილავი პრაქტიკა, რაც შრომის პოლიტიკის ფუნდამენტურ ხარვეზებსა და სახელმწიფოს მიერ შრომითი უფლებების დაცვისთვის შექმნილი მექანიზმების არაეფექტურობას უკავშირდება.



თებერვლის თვეში ტყიბულის შახტაში დასაქმებულთა მიერ დაწყებული გაფიცვები ფართომასშტაბიან პროტესტად გადაიქცა და ქალაქის სოციალურ პროტესტში გადაიზარდა.

ტყიბულის გაფიცვამ ნათელი გახადა დასაქმების ადგილებზე ადამიანის უფლებათა შელახვის სისტემური, მძიმე გამოცდილება და დასაქმებულთა ექსპლუატაციის უხილავი პრაქტიკა, რაც შრომის პოლიტიკის ფუნდამენტურ ხარვეზებსა და სახელმწიფოს მიერ შრომითი უფლებების დაცვისთვის შექმნილი მექანიზმების არაეფექტურობას უკავშირდება.

ტყიბულის პროცესმა აგრეთვე აჩვენა, რომ ეს მოვლენები წარმოადგენდა არა მხოლოდ შრომით დავას მხარეებს შორის, არამედ სოციალურ უკმაყოფილებას არსებული ეკონომიკური და სოციალური სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც დასაქმებულთა მინიმალური კეთილდღეობა და სოციალური უსაფრთხოების სისტემის შექმნა ვერ უზრუნველყო.

EMC სოლიდარობას უცხადებდა გაფიცულ მუშებს და საგაფიცვო კომიტეტისადმი აქტიური კონსულტაციების პარალელურად, სხვადასხვა აქტორებთან და მედიასთან მუდმივი კომუნიკაციის გზით შრომის პოლიტიკის გადახედვის საკითხის აქტუალიზებას ახდენდა.



ტყიბული, მეშახტეების გაფიცვა.

გაფიცული მუშების მთავარი მოთხოვნა უკიდურესად დაბალი შრომის ანაზღაურების 40%-იანი ზრდა და ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში სამუშაო პირობებისა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება იყო. თუმცა, მხარეთა შეთანხმებით სანარმოო დასაქმებულთა ხელფასის 10%-იანი ზრდისა და შრომის უსაფრთხოების პირობების გადასინჯვის ზოგადი ვალდებულება აიღო.

მიუხედავად მისი შედეგისა, ტყიბულის გაფიცვა დასაქმებულთა ორგანიზებული წინააღმდეგობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის კონსოლიდაციისა და სოლიდარობის მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს.



დოკუმენტური ფილმი:
ტყიბული - "ქალაქი, რომელმაც გაბედა გაფიცვა"



მეშახტის ხელფასი



საქართველოს ინდუსტრიული რუკა და ინდუსტრიული მრეწველობის ეკონომიკა



მოვლენა VS მდგომარეობა: ტყიბულის გაფიცვები, ცენტრი-პერიფერიის მიმართება და მედიის როლი



რატომ უნდა ვიდგეთ დასაქმებულთა გვერდით და გავნიოთ წინააღმდეგობა

შრომის უსაფრთხოება: სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და დაღუპულთა მაღალი მაჩვენებელი


შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ვერ პასუხობს შრომის დარგში არსებულ მძიმე გამოწვევებს და არ წარმოადგენს შრომის პირობების მონიტორინგისა და დარღვევების გამოვლენის ქმედით მექანიზმს.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმების არარსებობიდან გამომდინარე, კვლავ უკიდურესად მაღალია სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და დაღუპულთა მაჩვენებელი. დაბალი ანაზღაურება, ზეგანაკვეთური და აუნაზღაურებელი შრომა, არანორმირებული სამუშაო გრაფიკი და შრომითი ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმა კვლავ დამკვიდრებულ და რეგულარულ პრაქტიკად რჩება. 2013 წლიდან შრომის პოლიტიკის სფეროში განხორციელებული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების დიდი ნაწილი არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად არაეფექტური აღმოჩნდა და დასაქმებულთა უფლებები მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ უზრუნველყო. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ვერ პასუხობს შრომის დარგში არსებულ მძიმე გამოწვევებს და არ წარმოადგენს შრომის პირობების მონიტორინგისა და დარღვევების გამოვლენის ქმედით მექანიზმს. ინსპექტირების სისტემას ღელემდე არ აქვს დაშვება დასაქმების ადგილებზე, საწარმოსგან წინასწარი თანხმობის გარეშე, მისი უფლებამოსილება არ ფარავს შრომის უფლების სრული სპექტრის შემოწმებას და ინსპექციის მიერ გაცემული რეკომენდაცია საწარმოსთვის შესასრულებლად საავალდებულო არ არის.



ფოტოპროექტი: ინდუსტრიოლოგია:ჭიათურა

EMC გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში ადვოკატირებას უწევდა ეფექტური შრომის ინსპექციის შექმნას. საქართველომ უპირობოდ მიიღო რეკომენდაცია, რომელიც შეეხება საქართველოს მიერ სოციალური დიალოგის ხელშეწყობის მიზნით დამატებითი ძალისხმევის გაწევის აუცილებლობასა და დასაქმებულების ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერებას, მათ შორის, ეფექტური შრომის ინსპექციის შექმნის გზით, რომელიც ალჭურვილი იქნება აღსრულების ფუნქციებით.



ვიდეორგოლი: მოითხოვე შრომის ძლიერი ინსპექცია!

-  როგორ მუშაობს შრომის ინსპექტირების ორგანო
-  საწარმოო ტრავმებით დაშავებული და გარდაცვლილი
-  შრომის ინსპექტირების ეფექტური მექანიზმის შექმნის აუცილებლობა
-  შრომის პირობების ინსპექტირების დახურულობა

2016 წლის პირველ ნახევარში, EMC-იმ თბილისსა და რეგიონებში (ტყიბული, ზესტაფონი, ჭიათურა) 8 სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. ვორკშოპებს მუშები, აქტივისტები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

2016 წლის პირველ ნახევარში კი, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის და შრომითი უსაფრთხოების საკითხებზე ორი საჯარო მიმოხილვის დოკუმენტი და ბროშურა მოამზადა.

საცხოვრის უფლების არაღიარება და უსახლკაროთა მძიმე უფლებრივი მდგომარეობა



ილუსტრაცია: ვიქტორია ლომასკო

დღემდე არ არსებობს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა, საკანონმდებლო ჩარჩო, შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზაციისა თუ ინსტიტუციური სისტემის შექმნის ხედვა.

იენისში საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელშიც წინა წლების გეგმის მსგავსად არ არის ასახული საცხოვრის უფლების თავი, რაც სახელმწიფოს მიერ უსახლკარობის, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევის, არაღიარების ილუსტრაციაა.

უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო გარანტიებისა და პოლიტიკის არარსებობის ფონზე, უსახლკარო პირებს უმძიმეს პირობებში უხდებთ ცხოვრება. მათ საცხოვრისი საერთოდ არ გააჩნიათ ან სხვადასხვა არასაცხოვრებელი მიზნებისთვის გათვლილ ობიექტებში უნებართვოდ ცხოვრობენ. ასეთი ობიექტები კი, როგორც წესი, ვერ აკმაყოფილებს სათანადო საცხოვრისი ელემენტარულ მოთხოვნებს.

დღემდე არ არსებობს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა, საკანონმდებლო ჩარჩო, შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზაციისა თუ ინსტიტუციური სისტემის შექმნის ხედვა, რაც შეუძლებელს ხდის უსახლკაროთა საჭიროებების გამოვლენასა და მათზე რეაგირების ადეკვატური პოლიტიკის ფორმირებას. არაღიარების პარალელურად, სახელმწიფო აგრძელებს უსახლკარო ჯგუფებისადმი რეპრესიული მექანიზმების გამოყენებას და სახელმწიფო ობიექტებში უნებართვოდ მცხოვრებ ჯგუფებს სოციალური ბენეფიტების მიღების შესაძლებლობას არ აძლევს.

1 და 6 იენისს, **EMC სოლიდარობის ნიშნად შეერთდა** სოციალურად დაუცველი უსახლკარო ჯგუფების მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინ გამართულ **საპროტესტო აქციებს**. აქციის მონაწილეთა მთავარ მოთხოვნას სახელმწიფოს მიერ უსახლკარო პირთა უფლებების აღიარება და საცხოვრისი უფლების ხელმისაწვდომობის მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენდა.

სოციალურად დაუცველი უსახლკარო ჯგუფები ასევე მოითხოვენ იმ საკანონმდებლო ცვლილების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც პირებს, რომელთაც საცხოვრებელი მიზნით დაკავებული აქვთ სახელმწიფო ობიექტები, სოციალურად დაუცველის სტატუსს და მასთან დაკავშირებულ საარსებო შემწეობას ვერ იღებენ.



თავშესაფარის ძიებაში



უსახლკარობა - ინდივიდუალურ წარუმატებლობად შეფასებული სტრუქტურული პრობლემა




უსახლკარობის პოლიტიკა საქართველოში: ცვლილებების აუცილებლობა



ფოტო: "ნეტგაზეთი", უსახლკაროთა აქცია

აქციაზე სოლიდარობის და მედიასთან საკითხის გააქტიურების პარალელურად, EMC-იმ საზოგადოებაში უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისი არქონის გარშემო ცნობიერების ამაღლების მიზნით მოამზადა სტატიები, ბლოგები და ინფოგრაფიკები, რომელიც EMC-ის საკომუნიკაციო პლატფორმებისა და სხვადასხვა საინფორმაციო არხებით გავრცელდა.



ემედუნარიანობის სისტემის რეფორმა და მისი იმპლემენტაციის ხარვეზები

რეფორმის ცალსახად პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, მისი აღსრულება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას და ვერ აზღვევს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების შელახვის რისკებს.

2016 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს პარლამენტმა რადიკალურად შეცვალა ემედუნარიანობის გააზრება და პირის ნების ჩანაცვლების სისტემა გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მექანიზმით ჩაანაცვლა. რეფორმის ცალსახად პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, მისი აღსრულება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას და ვერ აზღვევს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების შელახვის რისკებს. მიმდინარე პერიოდის სასამართლო პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან ცალკეულ ნორმათა ინტერპრეტაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების არსს და ემედუნარიანობის გაუქმებული მოდელის შინაარსს იმეორებს.

მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნების ბლანკეტური შინაარსი, რაც ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების პრინციპს ეწინააღმდეგება. ამასთან, რეფორმის სათანადოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად არ მოხდა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციების, შესაძლებლობებისა და რესურსების რეფორმის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ინსტიტუტური სისტემის გარდაქმნა, რაც გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის რეალურ ამოქმედებას უზრუნველყოფდა.



უფლება, გქონდეს უფლებები



ემედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

EMC-ის მიერ მომზადებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს, ემედუნარიანობის ახალი სისტემის შეფასებას, ასევე გამოკვეთს მის ძირითად სამართლებრივ ხარვეზებსა და იმპლემენტაციის პროცესის სირთულეებს, აგრეთვე, გასცემს რეკომენდაციებს, რელევანტური სახელმწიფო უწყებების მიმართ.

სტრატეგიული საქმეაბი სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში EMC-იმ ორი სარჩელი წარადგინა საერთო სასამართლოების წინაშე:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდების მიუწვდომლობა უსინათლო და მცირემხედველობის პირებისათვის;
- შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტემენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების მასალებისა და შედეგების ბლანკეტური დახურულობის არაკანონიერება.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის მიზნით აწარმოა 6 საქმე ადმინისტრაციული ორგანოების, საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე.

პირადი ცხოვრებით შანტაჟი



ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული კადრები და კადრების გავრცელების მუქარა კიდევ ერთხელ მიუთითებს გამოძიების არაეფექტურობაზე და პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში ახალ დანაშაულებებს ახალისებს.

2016 წლის მარტში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების და მუქარის შემცველი ვიდეოების ინტერნეტსივრცეში გავრცელებამ ფარული თვალთვალისა და მიყურადების საკითხი გააქტიურა. წინასაარჩევნო კონტექსტში ამ ტიპის შანტაჟმა მნიშვნელოვნად შეარყია პროცესების მშვიდობიან და დემოკრატიულ გარემოში განვითარების პერსპექტივა და საზოგადოებაში დაუცველობის განცდა გააჩინა. წარსულში უკანონოდ მოპოვებული ათასობით ჩანაწერის აღმოჩენის ფაქტზე გამოძიება პროკურატურაში რამდენიმე წელია მიმდინარეობს. თუმცა, გამოძიების საბოლოო და სრულყოფილი შედეგები ამ დრომდე უცნობია. ინტერნეტსივრცეში გავრცელებული კადრები და კადრების გავრცელების მუქარა კიდევ ერთხელ მიუთითებს გამოძიების არაეფექტურობაზე და პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში ახალ დანაშაულებებს ახალისებს. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა კამპანია “ეს შენ გეხებას” კონსტიტუციური სარჩელი და ფარული მოსმენა-მიყურადების მოქმედი სისტემა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა. თუმცა, გადაწყვეტილების აღსრულება 2017 წლის 31 მარტამდე გადავადდა და პარლამენტის სისტემური და ინსტიტუციური რეფორმებისთვის ვადა სწორედ ამ დრომდე აქვს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულებისთვის, კამპანია “ეს შენ გეხებას” (რომლის აქტიური წევრია EMC) მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რაც ფარული მიყურადების სისტემის ფუნდამენტურ რეფორმასა და პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიების შექმნას ითვალისწინებს.



თვალთვალის ახლებური სისტემა



თვალთვალის შეწყვეტა

ამ პროცესში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, EMC-იმ შეიმუშავა უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების წინადადებები, რაც მოიცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციების გადახედვას, კონტრდაზვერვითი საქმიანობაზე ეფექტური სასამართლო კონტროლის გავრცელებასა და უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ნაჩქარავი და ხარვეზიანი რეფორმა

კანონპროექტში შენარჩუნდა ხსენებული პრობლემური დებულებები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურ საქმიანობასა და მართლმსაჯულების დროულად განხორციელების უფლებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

2016 წლის მარტში, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც არაერთ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის შეფერხებას და პროცედურული ბარიერების შექმნას ითვალისწინებდა. აღნიშნულ ინიციატივას წინ უსწრებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მისამართით გაკეთებული არაერთი კრიტიკული და უხეში განცხადება მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების მხრიდან, რაც სასამართლოს მიერ წინა თვეებში განხილულ და გადაწყვეტილ გახმაურებულ საქმეებს უკავშირდებოდა. ამდენად, სრულიად ლეგიტიმურად გაჩნდა განცდა, რომ ინიცირებული ხარვეზიანი ცვლილებები კონკრეტული გადაწყვეტილებების მიმართ ხელისუფლების უკმაყოფილებით იყო განპირობებული.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა [კანონპროექტზე მოტივირებული შენიშვნების](#) წარდგენის უფლება. თუმცა, შენიშვნებში არ მოხვდა რამდენიმე პრინციპული საკითხი, მათ შორის:

- ორგანული კანონის კონსტიტუციურობის განხილვისთვის დანესებული არაგონივრულად მაღალი ქვორუმი;
- ნორმის მოქმედების შეჩერების გაუმართლებლად გართულებული პროცედურა;
- მოსამართლის 10 წლიანი ვადის ამოწურვის ხისტი რეგულირება;
- ერთი მოსამართლის მიერ საქმის პლენუმისთვის გადაცემის პროცედურა.

პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარების მიუხედავად, კანონპროექტში შენარჩუნდა ხსენებული პრობლემური დებულებები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურ საქმიანობასა და მართლმსაჯულების დროულად განხორციელების უფლებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. აქედან გამომდინარე, კოალიციამ [2016 წლის 13 ივნისის სარჩელით მიმართა](#) საკონსტიტუციო სასამართლოს და ხსენებული ოთხი პრობლემური დებულება გაასაჩივრა.

EMC როგორც კოალიციის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო განხილვის პროცესში.



კრიზისული ვითარება საერთო სასამართლოების სისტემაში: გაჭიანურებული რეფორმა და მოსამართლეთა დაჩქარებული დანიშვნები

2016 წლის დასაწყისში, საბჭომ, კანონის დარღვევით, თანამდებობიდან გაათავისუფლა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადებების გამო და შედეგად მის მიმართ დისციპლინური წარმოება დაიწყო. გასული თვეების განმავლობაში, საბჭო ასევე განაგრძობდა ხარვეზიანი კანონმდებლობისა და პროცედურების საფუძველზე მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსების ჩატარებას, რაც განზრახ, ფორსირებულ რეჟიმში მოსამართლეთა დანიშვნის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აღნიშნულის საპასუხოდ დაიწყო "საზოგადოებრივი ინიციატივა - შეაჩერე!", ხოლო კოალიციამ სარჩელით მიმართა

სასამართლოში მიმდინარე კრიზისი გააძლიერა რეფორმების შეფერხებამ და ["მესამე ტალღის"](#) კანონპროექტების არაგონივრულმა გაჭიანურებამ.

2016 წლის პირველი ნახევარში სასამართლოში განვითარებული კრიზისი კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კონფერენციის საქმიანობაზე დაკვირვებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს და მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მარეგულირებელი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა. სასამართლომ სარჩელი არსებითად 2016 წლის 14 ივნისს განიხილა. სასამართლოში არსებული გამოწვევების ფონზე, EMC-ის აქტიური ჩართულობით, კოალიციამ მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივითა პაკეტი, რომელიც მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და სასამართლოს თავმჯდომარეების გაშვების წესების ცვლილებას და საქმის განაწილების დროებითი მოდელის შემოღებას ითვალისწინებს. აღნიშნული კანონპროექტები კოალიციამ საზოგადოებას 2016 წლის 13 მაისს საზოგადოებრივ ფორუმზე წარუდგინა. სასამართლოში მიმდინარე კრიზისი გააძლიერა რეფორმების შეფერხებამ და “მესამე ტალღის” კანონპროექტების არაგონივრულმა გაჭიანურებამ, რასაც თან ერთვოდა კულუარული მოლაპარაკებები და შეთანხმებები. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა “მესამე ტალღის” კანონპროექტები და რიგი პოზიტიური დებულებები. თუმცა, საქართველოს პარლამენტში კანონპროექტების მიღება მესამე მოსმენით ვერ ხერხდება.



საჯარო ფორუმი - მოსამართლეთა შერჩევა/ დანიშვნის სისტემა



გაჭიანურებული სასამართლო რეფორმა



გაჭიანურებული სასამართლო რეფორმა და თანმდევნი პოლიტიკური პროცესები



სასამართლოს რეფორმის “მესამე ტალღა” და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები

აუდიტორია 115: “ოდეერების” საკითხი საუნივერსიტეტო სივრცეში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ერთ-ერთი ყველაზე მეტად დახურული და გაუმჭვირვალე სტრუქტურაა. პარლამენტის მხრიდან საკითხის შესწავლაზე უარის თქმამ პასუხგაუცემელი დატოვა „ოდეერების“ საქმიანობასთან დაკავშირებული კითხვები.



აუდიტორია 115-ის გაფიცვა

2015 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის რეფორმის პარალელურად, კანონმდებლობაში შეიცვალა და დაზუსტდა ე.წ. “ოდეერების” მოქმედების საკითხი. თუმცა, არ მომხდარა მონიტორინგი და შეფასება, რამდენად გადავიდა ყველა უწყება “უსაფრთხოების სამსახურის შესახებ” კანონით განსაზღვრულ რეჟიმზე და მოხდა თუ არა რომელიმე დანესებულებაში “ოდეერის” ძველი ფორმით შენარჩუნება.

EMC-იმ მიღებული ახსნა-განმარტებების საფუძველზე, სამსახურებრივი მოკვლევის ჩატარების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურ ინსპექციებს მიმართა. თუმცა, გენერალურმა ინსპექციებმა არც ერთი აქტივისტის შემთხვევაში გადაცდომა არ დაადგინეს. EMC აღნიშნულ საქმეებზე სამართლებრივ პროცედურებს აგრძელებს

უსაფრთხოების სამსახურის რეფორმირების შემდეგ, “ოდეერების” საკითხი პირველად და კრიტიკულად დაისვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სტუდენტური პროტესტის დროს, “აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც თსუ-ში “ოდეერის” არსებობაზე მიუთითებდნენ. მსგავსი ინფორმაცია სხვა რამდენიმე უნივერსიტეტმაც გაავრცელა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტს “ოდეერების” საკითხის შესწავლის მიზნით დროებითი **საგამომძიებო კომისიის შექმნის** მოთხოვნით მიმართეს, რაზეც პარლამენტმა უარი განაცხადა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ერთ-ერთი ყველაზე მეტად დახურული და გაუმჭვირვალე სტრუქტურაა. პარლამენტის მხრიდან საკითხის შესწავლაზე უარის თქმამ პასუხგაუცემელი დატოვა „ოდეერების“ საქმიანობასთან დაკავშირებული კითხვები.

სტუდენტური პროტესტის გააქტიურების პარალელურად, “აუდიტორია 115“-ის რამდენიმე წევრმა საჯაროდ განაცხადა, რომ მათი აქტიურობის გამო სამართალდამცავი სისტემა მათი ოჯახის წევრებითა და ახლობლებით დაინტერესდა.

პოლიციის პოლიტიკური ნაიდრეგულირება: საკადრო პოლიტიკის გავლენა საპოლიციო სისტემის დამოუკიდებლობაზე

შსს მინისტრის არაგონივრულად ფართო კომპეტენცია საკადრო პოლიტიკაში და მისი ექსკლუზიური და საგამონაკლისო უფლებამოსილებები.



საპოლიციო და სექტორის რეფორმირების საკითხთან დაკავშირებით EMC-იმ მოამზადა მიმოხილვა შსს-ს საკადრო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევების შესახებ. მიმოხილვა აგრეთვე, აღწერს პოლიციელთა სამსახურში მიღების, დანიშნულების, საკადრო მონაცვლეობის, დისციპლინირებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებს. **მიმოხილვა** აჩვენებს, რომ პოლიციის სისტემის დეპოლიტიზირების მიზნებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მყარ და ფორმალიზებულ საკადრო პოლიტიკას, რომელიც დაცლილია პოლიტიკური თანამდებობის პირების გავლენებისგან და არის საკმარისად ღია და გამჭვირვალე საზოგადოებრივი მონიტორინგისთვის. დღეს შსს-ში მოქმედი საკადრო პოლიტიკის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს:

- ძირითადი პროცედურული საკითხების ბუნდოვანება, რაც საკითხთა დიდი ნაწილის კანონის დონეზე დაურეგულირებლობითაა გამოწვეული;
- შსს მინისტრის არაგონივრულად ფართო კომპეტენცია საკადრო პოლიტიკაში და მისი ექსკლუზიური და საგამონაკლისო უფლებამოსილებები;
- ერთი პირის მიერ კოლეგიური ორგანოს მონაწილეობის გარეშე ძირითადი საკადრო საკითხების გადაწყვეტა;
- გენერალური ინსპექციის არასაკმარისი დამოუკიდებლობა და დისტანცირება პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან.

უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა
სამართალდამცავი სისტემის ანალიზი

საკადრო პოლიტიკა შინაგან საქმეთა
სამინისტროში

EMC-იმ მოამზადა მიმოხილვა შსს-ს საკადრო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევების შესახებ.

სტრატეგიული საქმედები სასამართლოში

ბოლო თვეების განმავლობაში EMC-იმ საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე კონსტიტუციური სარჩელით მიმართა:

- პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების არასამართლიანი განსაზღვრა და პირადი მოხმარების გამო დაწესებული არათანაზომიერი სასჯელი;
 - ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის უფლებების ავტომატური ჩამორთმევა.
- EMC ასევე აწარმოებდა რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს საერთო სასამართლოებში, მათ შორის, გაასაჩივრა:
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარი მოსამართლეთა კანდიდატებთან გასაუბრების აუდიო/ვიდეო ჩანაწერების გადმოცემაზე და ასევე, საბჭოს #308-ე გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს, რომ კანდიდატებთან გასაუბრება დახურულ სხდომაზე ტარდება;
 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებული პირების ოდენობისა და ცალკეული დეპარტამენტების დებულებების გასაიდუმლოების ფაქტი;
 - შსს-ს უარი გადმოცემა ცალკეული თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია და ასევე სტატისტიკური ინფორმაცია შსს-ში თანამდებობებზე დანიშნის და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

შსს-ს წინააღმდეგ დავა EMC-იმ წარმატებით დაასრულა. სხვა საქმეებზე კი სამართალწარმოება გრძელდება. ასევე, 2016 წლის ივნისში EMC-იმ გამოიყენა “სასამართლო მეგობრის” ინსტიტუტი და საკუთარი მოსაზრებები გაუგზავნა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ მიმდინარე საქმესთან, რომელიც სასამართლოს მიერ მიღებული აქტების ხელმისაწვდომობას შეეხება.

მუსლიმი თემის წინაშე მდგარი გამოწვევები



კონტროლზე დაფუძნებული პოლიტიკა მუსლიმ თემსა და რელიგიურ ინსტიტუციას შორის გაუცხოებას მრდის, რაც ყველაზე ნათლად ბათუმში მეორე მერეთის მშენებლობის მოთხოვნის პროცესში გამოჩნდა.

2012 წლიდან ქართველი მუსლიმების მიმართ იდენტური პოლიტიკური და სოციალური ნარატივის შვიდი რელიგიური კონფლიქტი ნიგვზიანი (2012), წინწყარო (2012), სამთაწყარო (2013), ჭელა (2013), ქობულეთი (2014) მოხე (2014), ადიგენი (2016) გამოვლინდა. 2016 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში (სოფელ ადიგენში) რიგით მესამე რელიგიური ხასიათის დაპირისპირება მოხდა. დაპირისპირების მიზეზი მუსლიმი თემის მხრიდან სასაფლაოს გახსნის ინიციატივა გახდა. ადგილობრივი ქრისტიანების ჯგუფი თავს დაესხა რამდენიმე აქტიურ მუსლიმს და ფიზიკური დაზიანებები მიაყენა. ინციდენტის მეორე დღეს კი ქრისტიანებმა ისლამოფობიური რიტორიკის გამოყენებით მუსლიმთა სასაფლაოს გახსნის საწინააღმდეგო აქციები გამართეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქრისტიანი და მუსლიმი სასულიერო პირების მონაწილეობით კონფლიქტი მალევე გადაჭრა და სოფელში მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე მუსლიმებისთვის ცალკე სივრცის გამოყოფა მოახერხა. კონფლიქტის გადანაცვების შემდეგ, მუსლიმების ღვეზის ფაქტებზე დანყებული გამოძიება პროკურატურამ დაუსაბუთებლად შეწყვიტა. EMC კონფლიქტის შესწავლასა და მონიტორინგს ადგილზე ახორციელებდა და დაზარალებულ მუსლიმებს სამართლებრივი დახმარება გაუწია.



რეპორტაჟი: მოხელი მუსლიმების შეუცვლელი მოთხოვნა



მოხელი მუსლიმების შეუცვლელი მოთხოვნა



რეპორტაჟი: ლოცვა ღია ცის ქვეშ

2014 წელს დაფინანსების პოლიტიკის ამუშავების შემდეგ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქტიური მონაწილეობით, მუსლიმმა სასულიერო პირებმა შემორანდუმით მეორე მეჩეთის სანაცვლოდ ბათუმში საშუალო სამმართველოს რეზიდენცია და მედრესესთვის შენობა მოითხოვეს და ამ გზით დაუპირისპირდნენ თემის ისტორიულ მოთხოვნასა და საჭიროებას. ამ რეალობაში მუსლიმმა თემმა თვითორგანიზებული პროცესი წამოიწყო და 2016 წლის დასაწყისში საინიციატივო ჯგუფის სახელით სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს მეჩეთის მშენებლობისთვის ბათუმში მიწის ნაკვეთის გადმოცემის მოთხოვნით მიმართა. პრემიერ-მინისტრის დაპირება, რომ მუსლიმ თემს შეხვდებოდა და მათ საჭიროებებს გაითვალისწინებდა, ამ დრომდე შეუსრულებელია.



ლოცვა ღია ცის ქვეშ



ფუნდამენტური ისლამი - თვითაღქმა და z

მუსლიმთა თვითორგანიზებულ ჯგუფს EMC აქტიურ სამართლებრივ და საჯარო ადვოკატირების მხარდაჭერას უწევს. მუსლიმი თემის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არაეფექტური და ადამიანის უფლებების საზიანო საქმიანობის შესახებ EMC-ის კრიტიკა ძირითადად გაზიარებულია ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტების მიერ როგორებიცაა: ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია (ECRI), ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.



საპატრიარქოს დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაწერა დღემდე გრძელდება. დიდი მასშტაბის უძრავი ქონების გადაცემისა და ბიუჯეტიდან პირდაპირი სუბსიდიების გარდა, მართლმადიდებელი ეკლესია მთავრობის სარეზერვო ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან დიდი ოდენობის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს იღებს. ამასთან პირდაპირი დაფინანსება, რომელსაც 2014 წლიდან ოთხი რელიგიური ორგანიზაცია (მუსლიმი, იუდეური თემები, ასევე კათოლიკე და სომხური სამოციქულო ეკლესიები) იღებს, 2016 წელს გაორმაგდა.


რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა

EMC-ის შეფასებით, რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების არსებული პრაქტიკა დისკრიმინაციულია, მართლმადიდებელ ეკლესიის ექსლუზიურ პრეფერენცირებას ახდენს და მკვეთრად არღვევს რელიგიური ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის სეპარაციის კონსტიტუციურ პრინციპს.

EMC-ის შეფასებით, რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების არსებული პრაქტიკა დისკრიმინაციულია, მართლმადიდებელ ეკლესიის ექსლუზიურ პრეფერენცირებას ახდენს და მკვეთრად არღვევს რელიგიური ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის სეპარაციის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთან, დაფინანსების პრაქტიკა პოლიტიკურ კონოტაციებს ატარებს და ხელისუფლებისთვის ეკლესიის პოლიტიკური და სოციალური მხარდაჭერის მოპოვებისა და ამაღლოვლად ზოგიერთი რელიგიური თემის კონტროლის იარაღია. წინა ხელისუფლების პირობებში, ბიუჯეტიდან და სარეზერვო ფონდებიდან ეკლესიის დაფინანსების რადიკალური ზრდა წინასაარჩევნო პერიოდსა და პოლიტიკურ კრიზისებს ემთხვეოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში მსგავსი პირდაპირი კორელაციების პოვნა რთულია.

თუმცა, იმ პირობებში, როდესაც დაფინანსების პოლიტიკა ხელისუფლებას არსებითად არ შეუცვლია, მისი აფილაციები და ლოიალობა კი მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ კიდევ უფრო ღიად გამოჩნდა პოლიტიკურ ცხოვრებასა და ინსტიტუციურ დონეებზე, ეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არასეკულარული მიმართებების გაღრმავებაზე უნდა მიუთითებდეს.

2016 წელს EMC-იმ საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომელშიც ის მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსების არაკონსტიტუცირობაზე დავობს, რელიგიის თავისუფლების, საკუთრების უფლების, თანასწორუფლებიანობის და სეკულარიზმის სტანდარტებთან მისი შეუსაბამობის გამო.



ვიდეორგოლი: ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკა

აგრეთვე, სახარების რწმენის ეკლესიის სახელით, EMC საკონსტიტუციო სასამართლოში **დავობს** მთავრობის იმ დადგენილების არაკონსტიტუციურობაზე, რომელიც ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების წესს არეგულირებს. EMC-ის მტკიცებით, დადგენილების ძირითადი ნორმები დისკრიმინაციულია და რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის მაღალ რისკებს შეიცავს და წინააღმდეგობაში მოდის სეკულარიზმის კონსტიტუციურ სტანდარტთან.



სიღარიბის თეოლოგია



მიმოვინია ღმერთის სახელით



ეკლესია და ხელისუფლება - ძალაუფლების ჰიბრიდები



მტკრით დაფარული ღვთისმშობელი



რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა (2014-2015)



საპატრიარქოს ორმაგი სარგებელი



“უკანასკნელი მართლმადიდებლები დედამიწაზე”

2016 წელს EMC-იმ საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომელშიც ის მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსების არაკონსტიტუციურობაზე დავობს, რელიგიის თავისუფლების, საკუთრების უფლების, თანასწორუფლებიანობის და სეკულარიზმის სტანდარტებთან მისი შეუსაბამობის გამო.

დისკრიმინირებული რელიგიური ჯგუფების სამართლებრივი დახმარება და გაძლიერება

EMC რელიგიის თავისუფლების საკითხებზე სტრატეგიული სამართალწარმოებისა და დისკრიმინირებული რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების **პროგრამას** ახორციელებს. მემოთ აღნიშნული სტრატეგიული საქმეების გარდა, 2016 წლისთვის EMC-იმ აწარმოა შემდეგი საქმეები:

■ რუსთავის მერიის მხრიდან კათოლიკური ეკლესიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე დისკრიმინაციული უარი: აღნიშნულ საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ კათოლიკე ეკლესიის სახელით EMC-ის მიერ წარდგენილი სარჩელი დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ რუსთავის მერიამ გადანაცვქილება გაასაჩივრა, რაც მის დისკრიმინაციულ პოლიტიკას და მშენებლობის პროცესის გაჭიანურების ინტერესს ადასტურებს. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო რელიგიური უმცირესობების მიმართ არ ატარებს რესტიტუციის პოლიტიკას და კათოლიკე ეკლესიის 5 ისტორიული ტაძარი მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს დაკავებული, ახალი ეკლესიების მშენებლობის პროცესის შეზღუდვა რელიგიის თავისუფლებით სარგებლობას არსებითად ართულებს.

■ ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის საქმეზე, მუსლიმების მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებზე, EMC აწარმოებს სასამართლო დავას კერძო პირებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. ბათუმის საქალაქო სასამართლო საქმეს 1.8 წლის განმავლობაში იხილავს, თუმცა, ამ დრომდე საქმის არსებითი განხილვა არ დასრულებულა. კერძო პირების მხრიდან მუსლიმების დევნისა და პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე სახელმწიფო ასევე არ უზრუნველყოფს ეფექტიან გამოძიებას. მუსლიმებს დაზარალებული პირის სტატუსიც კი არ აქვთ მინიჭებული, რაც არსებითად ართულებს მიმდინარე გამოძიების მონიტორინგის შესაძლებლობას. EMC აღნიშნულ საქმეზე გეგმავს განაცხადის წარდგენას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში;

■ სოფელ მოხეში (ადიგენის მუნიციპალიტეტი) პოლიციის მიერ მუსლიმების უკანონო დაკავებისა და მათ მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტებზე პროკურატურას გამოძიება კვლავ არ დაუსრულებია. მოწმეების მხრიდან კონკრეტული პოლიციის თანამშრომლების იდენტიფიცირების მიუხედავად, არცერთ პირზე დევნა არ დაწყებულა და EMC-ის მიმართების მიუხედავად, პროკურატურა დაკავებული და ნაცემი მუსლიმებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარს ამბობს. ამ დროისთვის EMC ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარსადგენად ამზადებს განაცხადს, სადაც ის ევროპული კონვენციის მე-3, მე-8, მე-9 და მათთან კავშირში მე-14 მუხლის დარღვევაზე დავობს. მე-9 მუხლთან კავშირში განმცხადებლები დავობენ რელიგიური უმცირესობების მიმართ რესტიტუციის პოლიტიკის არარსებობასა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შექმნილი კომისიის საქმიანობის არაეფექტურობას;

■ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასულიერო პირების ქადაგების აკრძალვის საკითხზე, EMC წარმოადგენდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინტერესებს სახალხო დამცველის წინაშე. განაცხადი ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე წადგენილი იყო სტუდენტების დიდი ჯგუფის მიერ, რომლებიც უნივერსიტეტში დეკანოზი თ. გიგნაძის ლექციების ციკლის ჩატარებისთვის საუნივერსიტეტო სივრცეს ითხოვდნენ. მოცემულ საქმეზე სახალხო დამცველმა დისკრიმინაცია არ დაადგინა;

■ მუსლიმების მიმართ საზღვრის კვეთის დროს სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობისა და შეზღუდვის ფაქტებზე, რამდენიმე მუსლიმი პირის სახელით EMC-იმ, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე სახალხო დამცველის წინაშე განაცხადი წარადგინა;

■ ვეგანურ კაფე კვიზე ნეონაციტური ჯგუფის თავდასხმის შემდეგ, კაფის შენობის მესაკუთრის სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის საქმეზე, კაფის ადმინისტრაციის სახელით, EMC-იმ, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე სახალხო დამცველთან განაცხადი წარადგინა;


■ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში სავარაუდო ინდოქტრინაციული და დისკრიმინაციული პრაქტიკების საკითხზე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე, EMC-იმ სახალხო დამცველს ზოგადი წინადადების გაცემის მოთხოვნით მიმართა.

რელიგიური ორგანიზაციების ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2016 წელს EMC-იმ თბილისში, პანკისში, ახალციხესა და ბათუმში ტრენინგების ციკლი ჩაატარა. ტრენინგები ინტერდისციპლინური იყო და ადამიანის უფლებებთან ერთად, მოიცავდა მოხსენებებს პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებებიდან. აგრეთვე, მომზადდა სახელმძღვანელო დოკუმენტები რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან.

რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის ჩვენებისა და პოლიტიკურ და სოციალურ სივრცეებზე ეკლესიის გავლენის კრიტიკის მიზნით, EMC-იმ მოამზადა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია და მულტიმედია პროდუქტი.

ჰომო/ბი/ ტრანსფობიური ძალადობის მსგავსება

ფოტო: "ლიბერალი", 17 მაისი



სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სეკულარული, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას და ხშირად ღია ლოიალობას იჩენს დომინანტი რელიგიური ჯგუფისა და დისკურსის მიმართ.

ლგბტკი პირთა უფლებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და კვლავ სისტემური ხასიათის ძალადობას და დისკრიმინაციას განიცდიან. ლგბტკი საკითხების პოლიტიკება და ჰომოფობიური დისკურსის გაძლიერება კი საზოგადოებაში თემის ჩაგვრასა და მარგინალიზაციას აძლიერებს.

2016 წლის პირველ ნახევარში სხვადასხვა სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფის მიერ წარმოებული ჰომოფობიური და ანტი-ლგბტ დღის წესრიგი ყველაზე ნათლად საკონსტიტუციო ცვლილებებისა და რეფერენდუმის საკითხზე დისკუსიებში გამოვლინდა.

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სეკულარული, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას და ხშირად ღია ლოიალობას იჩენს დომინანტი რელიგიური ჯგუფისა და დისკურსის მიმართ.

წინა წლების მსგავსად, ლგბტკი თემმა 2016 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო (IDAHOT) დღეს, კვლავ ვერ მოახერხა კონსტიტუციით გარანტირებული მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო თემისა და აქტივისტებისთვის საკმარისი უსაფრთხოების გარანტიების მიცემა, რის გამოც რამდენიმე აქტივისტმა პარტიზანულად პროტესტის დაფიქსირება საპატრიარქოს შენობასთან კრიტიკული წარწერების გამოყენებით სცადა, შედეგად სამართალდამცველებმა ისინი ადმინისტრაციული წესით დააკავეს. აღსანიშნავია, რომ 17 მაისს და მასთან კავშირში დაფიქსირდა ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის მსგავსების ფაქტი, რომელსაც სახელმწიფომ ეფექტურად ვერ უპასუხა.

■ 2015-2016 წლებში, EMC-იმ ჩაატარა კვლევა, „ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, რომელიც ლგბტკი პირთა არსებული სიტუაციისა და უფლებრივ გარანტიათა შესრულებას ეხება. კვლევის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით EMC პარტნიორ ორგანიზაციებთან, ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან (WISG) ერთად აქტიური ადვოკატირების პროცესს აწარმოებს;

■ EMC- იცავდა ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის 150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით დაკავებული 7 აქტივისტის ინტერესებს სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ნაწილში სასამართლომ აქტივისტები ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად არ ცნო. ამასთან, პოლიციელების არასათანადო ქცევის ფაქტებზე, 2016 წლის 17 მაისს დაკავებული ლგბტკი აქტივისტების სახელით, EMC-იმ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას განცხადებით მიმართა. განცხადებაში EMC უთითებს დაკავების არამართლზომიერი გამოყენებისა და პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჰომოფობიური ენისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის ფაქტებზე და შსს-ს გენერალურ ინსპექციას საქმის შესწავლასა და კონკრეტული პოლიციელების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას სთხოვს.



სიკვდილის გაქრობა

ლგბტ პირთა უფლებათა დარღვევის იდენტიფიცირების, დოკუმენტირებისა და ადვოკატირების მიზნით, საანგარიშო პერიოდში EMC-იმ რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა:


■ 2013 წლის 17 მაისს შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე მშვიდობიანი მონაწილეების უფლებათა შელახვის ფაქტზე EMC-იმ ბრალდებული 4 პირის საქმეზე **სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა**, სადაც მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე და სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდა.

■ EMC 2016 წელს მომხდარი ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულთა რამდენიმე მსხვერპლს უწევს სამართლებრივ დახმარებას და წარმოადგენს მათ ინტერესებს გამოძიების წინაშე. პოლიციისთვის მსგავს დანაშაულებთან ბრძოლის სტრატეგიისა და სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადების მიზნით, EMC ახორციელებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფო პოლიტიკის სისტემურ შესწავლას.

■ EMC ამონიტორინგებდა ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის მკვლელობის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვას და ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა ჯგუფთან ერთად აწარმოებდა აქტიურ კომუნიკაციას პროკურატურასთან. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბრალდებული პირის მიმართ სიცოცხლის ხელყოფის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. EMC გეგმავს აღნიშნული გადაწყვეტილების შესწავლასა და ადვოკატირებას, საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტების გამოყენებით;

■ **უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR)** მეორე ციკლის ფარგლებში, EMC-იმ, SRHR კოალიციასთან ერთად (იდენტობა, თანადგომა, პერა XXI), ლგბტ უფლებების ადვოკატირებას ეწეოდა. აღსანიშნავია, რომ კოალიციის რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა სახელმწიფოების მიერ საქართველოსთვის მიცემულ რეკომენდაციებში. EMC კოალიციასთან ერთად აგრძელებს აღებული რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებას ეროვნულ დონეზე.

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში



ლგბტ თემა - ელექტორატი არჩევნების წინ



ლგბტ პირთა უფლებების საქართველოში



სიძულვილი და უმოქმედობა - ლგბტ პირთა უფლებები საქართველოში



აქტივიზმისა და მობილიზაციის მცდელობები ჯერ კიდევ წინააღმდეგობის სუსტ გამოვლინებად რჩება. საზოგადოების ფართო მასების გააქტიურება და რეალური სოციალური ცვლილებების ნახალისება რთულად ხერხდება.

ბოლო 5-6 წლის მანძილზე, სოციალურმა პროტესტმა და აქტივიზმმა ქართულ საჯარო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. იზრდება სტუდენტების, აქტივისტების და რიგითი მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც კრიტიკულად რეაგირებენ სახელმწიფოსა და ძალაუფლების მქონე პირების მიერ გატარებულ უსამართლო სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პოლიტიკაზე. პოპულისტური, მემარჯვენე-ნაციონალისტური თუ ლიბერალური დისკურსების დომინაციის პირობებში, სამოქალაქო საზოგადოება ცდილობს ალტერნატიული ხედვების შემუშავებას, რაც თანასწორი და სოლიდარული საზოგადოების ფორმირებას შეუწყობს ხელს. თუმცა, აქტივიზმისა და მობილიზაციის მცდელობები ჯერ კიდევ წინააღმდეგობის სუსტ გამოვლინებად რჩება. საზოგადოების ფართო მასების გააქტიურება და რეალური სოციალური ცვლილებების ნახალისება რთულად ხერხდება.

- რელიგიის დიალექტიკა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში
- საცხოვრისი და თავისუფლება: საცხოვრისზე უფლებისათვის მებრძოლი აქტივიზმის ლიმიტები და პერსპექტივები
- სახელმწიფოს მიერ დახატული ოჯახი უტოპია და კიჩია
- ანაზღაურება სამინაო შრომისთვის
- პოლიტიკა „აბსოლუტური სხვების“ გარეშე
- ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში – შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის კრიტიკა

EMC-ის კრიტიკული პოლიტიკისა და სოლიდარობის პლატფორმა მიზნად ისახავს საერთაშორისო და რეგიონული სოციალური მოძრაობების გამოცდილებების შესწავლას და გადააზრებას. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა პლატფორმა, სადაც ხდება ჩაგრულთა ჯგუფების პრობლემების ანალიზი და პოლიტიკურ დღისწესრიგში შემოტანა. მეორე მხრივ კი, არსებული ჩაგვრის მანარმოებელი დისკურსების და იდეოლოგიების კრიტიკული რეფლექსია და სამოქმედო სტრატეგიების და სოციალური ცვლილებების ნახალისების გზების შემუშავება.

ფორუმი “ ჩაგვრის სოციალური და პოლიტიკური ასპექტები: თეორია და პრაქტიკა”




2016 წლის დასაწყისში, EMC-იმ ჩაატარა 5-დღიანი ფორუმი, რომელშიც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობდნენ. ფორუმის სამუშაო თემებს სოციალური უთანასწორობა, რელიგია, პოლიტიკა, გენდერი და სექსუალობა შეადგენდა. ფორუმის მიზანი ამ საკითხებზე საზოგადოებაში რეფლექსიის გაჩენა, ცოდნის წარმოება და ისეთი სივრცის შექმნა იყო, სადაც დაინტერესებული პირები დისკუსიის ფორმატში გაცვლიდნენ იდეებს, ხედვებს და სამუშაო პრიორიტეტებს.

პუბლიკაციები

აგრეთვე, ფორუმის “ჩაგვრის სოციალური და პოლიტიკური ასპექტები: თეორია და პრაქტიკა” ფარგლებში დაიბეჭდა პუბლიკაცია „ჩაგრულობა ხმები - თეორია და პრაქტიკა“, რომელმაც ფორუმის განმავლობაში განხილული თემები გააერთიანა. პუბლიკაცია გავრცელდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში და სასწავლო დაწესებულებებში.



პლაფტფორმის ფარგლებში მომზადდა **თარგმანების კრებული**, რომელმაც გააერთიანა ტექსტები სოციალურ, პოლიტიკურ, გენდერის და კრიტიკულ თეორიებზე. პუბლიკაცია გამოქვეყნდა და გავრცელდა როგორც ინტერნეტ სივრცეში, ასევე შევიდა უმაღლესი სასწავლებლების სილაბუსებში და გავრცელდა სხვა არასაუნივერსიტეტო, აქტივისტურ თუ სამოქალაქო წრეებში.



კვლევითი და სახელოვნებო სტიკენდიები

პლატფორმის სასტიკენდიო პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ ღია კონკურსზე დამტკიცდა 9 კვლევა შემდეგ თემებზე: რელიგიის, პოლიტიკის, გენდერის და სექსუალობის, სოციალური უთანასწორობის, მარგინალური ჯგუფებისა და მარგინალიზაციის, ინტერსექციული ჩაგვრის ფორმების შესახებ. ასევე დამტკიცდა კვლევის თემებთან დაკავშირებული სამი სახელოვნებო კვლევის და სახელოვნებო პროექტების საჯარო პუბლიკაცია-პრეზენტაცია, რომელიც დაგეგმილია სექტემბრისთვის, თბილისსა და საქართველოს 3 რეგიონში. სასტიკენდიო პროგრამის მიზანია კვლევის შედეგად მიღებული მიგნებების გამოყენება არსებული თემების აქტუალიზებისთვის და ადვოკატირებისთვის. ამ თემების საზოგადოებამდე მითანა და ასევე, კონკრეტულ სათემო ჯგუფთან გაზიარება. მნიშვნელოვანია, კვლევისა და ხელოვნების გაერთიანების გზით მოხდეს მარგინალიზებული ჯგუფების ჩაგვრის ფორმებისა და მიზეზების იდენტიფიცირება, კრიტიკული გააზრება და ადვოკატირება.

საჯარო დისკუსიები:



ბლოგები



კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმამ მიმდინარე პერიოდის განმავლობაში გამოაქვეყნა 10-ზე მეტი ბლოგ-პოსტი აკადემიკოსების, მკვლევარების, აქტივისტების თუ სტუდენტების ავტორობით. გამოაქვეყნებული ბლოგპოსტები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ინდუსტრიული მრეწველობა და ინდუსტრიული შრომა;
- შრომის ბაზრის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები;
- ნეოლიბერალიზმისა და კაპიტალიზმის მანიფესტაციები;
- რელიგიური უმცირესობები და ჰეგემონური დისკურსები;
- გენდერული და სექსუალური ემანსიპაციის პოლიტიკა;
- გაფიცვები, დემონსტრაციები და სტუდენტური მოძრაობები;
- ცენტრი-პერიფერიის, ძალაუფლების ასიმეტრიულობისა და უთანასწორობის საკითხები;
- უსახლკარობა.

საერთაშორისო და ადგილობრივი მიმდინარე პოლიტიკური თუ სოციალური დღის წესრიგების შესატყვისებად და კრიტიკული რეფლექსიისთვის, მნიშვნელოვანია თავისუფალი სააზროვნო სივრცეების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კრიტიკული მოსაზრებების გენერირებას. ამ მიზნით, კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა ცდილობს საჯარო დისკუსიების ორგანიზებით და ღია, პოლიტიკურ-სადებატო პლატფორმის შეთავაზებით მოახდინოს აქტუალური თუ ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების საჯარო განხილვა და დისკუსიების წახალისება. მიმდინარე პერიოდში ჩატარდა 4 საჯარო დისკუსია:

- დისკურსების ლოკალიზების პრობლემა და სოლიდარობის კრიზისი ქართულ რეალობაში;
- ხელოვნება: ესთეტიკა და სოციალური პრაქტიკა;
- სოციალური უფლებების რადიკალური პოტენციალი - Via Campesina-ს ბრძოლა საკვების უფლებისთვის;
- კრიზისი თურქეთში - გეოპოლიტიკური პერსპექტივის მიღმა.

დონორები და კარტნიორი ორგანიზაციები

კოალიცია:

სოლიდარობის ქსელი ლგბტ უფლებებისთვის საქართველოსა და სომხეთში

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა

კოალიცია/პლატფორმა “არა ფობიას”

კამპანია “ეს შენ გეხება”

“კოალიცია თანასწორობისთვის”

დონორები, კარტნიორი ორგანიზაციები და მიმდინარე პროექტები:

	ნიდერლანდების საელჩო	94,435.00 EUR 66,389.40 EUR	“ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება საქართველოში” პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა პოლიციის საქმიანობაში
	ჰაინრიჰ ბოლის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი	58,506.00 EUR 32,000.00 GEL	სოლიდარობის ქსელი LGBTI ადამიანებისათვის სომხეთსა და საქართველოში აქცენტი მძიმე ინდუსტრიაზე
	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამა ACCESS	79,604.17 USD	შრომის პირობებისა და შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა
	ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის (NED)	31,850.00 USD	ჩაგრულთა ხმები: კვლევა, ხელოვნება და აქტივიზმი სოციალური ცვლილებებისათვის
	სექსუალური განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)	717,000.00 SEK	სქესობრივის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება
	კანადის ფონდი ადგილობრივი ინიციატივებისთვის	23,870.00 CAD	მარგინალიზებული ჯგუფების უფლებების დაცვის მხარდაჭერა სამოქალაქო განათლებისა და საჯარო დისკუსიების წახალისების გზით
	ფონდი ღია საზოგადოება	160,000.00 USD	ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საპოლიციო და სისხლის სამართლის სისტემაში
	ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	15,200.00 USD	პოლიციის გამჭვირვალობა საქართველოში
	ევროპის საბჭო	16,050 EUR	პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგებში გენდერის საკითხების შეტანა 2016 წლის არჩევნებში ქალი კანდიდატების გაძლიერების გზით
	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამა კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)	78,744.00 USD	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერება დისკრიმინირებული რელიგიური თემებისთვის

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

მისამართი: ი. აბაშიძის 12ა,
თბილისი, საქართველო
ტელ: 223 37 06

humanrightsemc@gmail.com

www.emc.org.ge

www.facebook.com/RIGHTSEMC

